ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2441341

ნომერი: AR1376439

თარიღი : 07.02.2016

გაცემის თარიღი : 18.02.2016

გაცნობის თარიღი : 18.02.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირმა ბოსტოღანაშვილი პ/ნ 14001013578
- თბილისი მ.თამარაშვილის ქ. N 17 ბ. 31

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, საკითხის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ სამსახურის მიერ №2437210 გადაწყვეტილებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შედეგად დამატებით გამოიკვეთა ახალი გარემოება კერძოდ: წარმოდგენილი სიტუაციური გეგმის მიხედვით შენობის განთავსებით ტერიტორიაზე იზღუდება თავისუფალი გასასვლელი, რაც დააბრკოლებს სახანძრო–სამაშველო ტექნიკის მანევრირებას. ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა წარმოდგენილი სქემით დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობის განთავსებაზე (შესაძლებელია თქვენს მიერ მისი განთავსებისათვის გამოიძებნოს სხვა ადგილი ან შემობრუნდეს მართობულად–ისე რომ არ შეიზღუდოს თავისუფალი გასასვლელის სიგანე)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შესაცვლელი გექნებათ ფოტომონტაჟი , საჭიროების შემთხვევაში არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები(განახლებული ადგილით) და სქემა ახალი ვარიანტის შესაბამისად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.